N გ-24-03/1652
05/08/2024

1652-გ-24-03-2-202408051609

შპს „პოსტვ“-ს

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ (დანართ N1) 36- ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად გატყობინებთ, რომ 2024 წლის 8 აგვისტოს, 15:00 საათზე გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) სხდომა (კომისიის სხდომის სამუშაო დრო: 21:00 საათამდე), სადაც განიხილება შპს „პოსტვ“-ის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის საკითხი (საფუძველი: კომისიის აპარატის მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის 2024 წლის 5 აგვისტოს N24-10-1467 მოხსენებითი ბარათი).

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, შესაბამის ელექტრონულ პორტალზე (https://eforms.comcom.ge) უმოკლეს ვადაში განაახლოთ ან/და კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, უზრუნველეყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთან, გაცნობებთ, რომ კომისია უფლებამოსილია საკითხი განიხილოს სხდომაზე წარმომადგენლის დასწრების გარეშეც.

დანართი: კომისიის აპარატის მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის 2024 წლის 5 აგვისტოს N24-10-1467 მოხსენებითი ბარათი - თანდართული დოკუმენტაციით.

ირაკლი ბუთბაია

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი